ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 578

21 ნოემბერი
"---" -------- 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მსახიობის გურამ ფირცხალავას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვიორგი ტყემალაძე

X=477997 Y=4619966
X=478004 Y=4619968
X=477991 Y=4619935
X=477978 Y=4619920
გურამ ფირცხალავას
სახელობის სკვერი
X=478002 Y=4619907
X=478011 Y=4619896
X=477992 Y=4619887
X=478030 Y=4619882
X=478038 Y=4619884
X=477971 Y=4619873
X=477984 Y=4619868